

ელექტრიკოსი (III)



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ელექტრიკოსი

პროფესიული განათლების საფეხური: მესამე საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1125 საათი); 9,5 თვე
თეორიული სწავლება 40% - 24 კრედიტი (600 საათი)
პრაქტიკული სწავლება 60% - 36 კრედიტი (900 საათი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც დასრულებული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და ჩაბარებული აქვს ტესტირება უნარებისა და საბაზისო ცოდნის ნაწილში გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს მესამე საფეხურის ელექტრიკოსი, რომელსაც კვალიფიკაციის შესაბამისად შეეძლება ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების მონტაჟი და ექსპლუატაცია უსაფრთხოების წესების დაცვით; ელექტროენერგეტიკულ ობიექტებზე სამონტაჟო და საექსპლუატაციო სამუშაოების მიმდინარეობისას წამოჭრილი სხვადასხვა ლოკალური ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტა.

სწავლის შედეგი:

ელექტრიკოსი (III საფეხური)

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ელექტროენერგეტიკის სფეროში გამოყენებული ხელსაწყოებისა და სამარჯვების მოქმედების პრინციპი და დანიშნულების საფუძვლები; • მარტივი ტექნიკური ამოცანების შესრულება მიცემული დავალების შესაბამისად; • დამცავი საშუალებების გამოყენება და ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების ცალკეული დეტალების ფუნქციონალური დანიშნულება; • ელექტროდანადგარების რემონტის შესრულებისათვის საჭირო ელექტროსამონტაჟო ოპერაციების სხვადასხვა სახეები. • კაბელებისა და სადენების გაყვანის ხერხები. • გამანაწილებელი მოწყობილობებისა და ტრანსფორმატორების კონსტრუქციები. <p>აქვს ელექტროდანადგარის სამონტაჟო, სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოებისათვის დამახასიათებელი ძირითადი პროცესებისა და ზოგადი თეორიული საუძვლების ცოდნა</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეძლებს :</p> <ul style="list-style-type: none"> • სარემონტო სამუშაოების წინ მოამზადოს ინსტრუმენტები, სამარჯვები, მექანიზმები, მასალები და სათადარიგო ნაწილები. • ელექტროენერგეტიკულ მოწყობილობებზე, დანადგარების ცალკეულ დეტალებსა და მარტივ კვანძებზე წინასწარ განსაზღვრული დავალებების მიხედვით საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და სამონტაჟო ინსტრუმენტების, ძირითადი მეთოდებისა და მასალების გამოყენებით ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების მონტაჟისა და ექსპლუატაციის ტექნიკური მეთოდების და უნარების ფართო სპექტრით მანიპულირებას.
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • უშუალო ხელმძღვანელის (ცვლის უფროსი, მორიგე ინჟინერი) მითითებების გათვალისწინებით სამუშაოს პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობას. • ელექტროენერგეტიკულ ობიექტებზე სამონტაჟო და საექსპლუატაციო სამუშაოების მიმდინარეობისას მის წინაშე დასმული პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ტექნიკური ინფორმაცია. • ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების მონტაჟისა და ექსპლუატაციის დროს წამოჭრილი სხვადასხვა ლოკალური ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტას დამოუკიდებლად, მისი შეფასების, ანალიზის და ამის საფუძველზე მიღებული დასკვნის შესაბამისად.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას მის კომპეტენციაში მყოფ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. • ეფექტიანად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; • უცხო ენის პრაქტიკულ გამოყენებას;

სწავლის უნარი	<p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • თეორიული სწავლების და საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მიწოდებული მასალის, როგორც პროფესორისა და ინჟინერ-ენერგეტიკოსის ხელმძღვანელობით შესწავლას დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით, ასევე მის წინაშე დასმული ამოცანების სწორად შეფასებისა და აქედან გამომდინარე სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრას.
ღირებულებები	<ul style="list-style-type: none"> • აცნობიერებს ელექტროენერგეტიკული პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და პასუხისმგებლობას. • იცნობს უსაფრთხოების წესებს. <p>შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამუშაო გარემოს დაცვას. • მის სამოქმედო უბანზე აღმოაჩინოს და აღმოფხვრას დაშვებული უზუსტობანი. • პროფესიული ეთიკის ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დაცვას.

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- საწარმოო პრაქტიკას
- დამოუკიდებელი მუშაობას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება
- ზეპირი გამოკითხვა
- დემონსტრირება

სწავლების მეთოდები

- თეორიული სწავლება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- სასწავლო პრაქტიკა
- საწარმოო პრაქტიკა

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სტუდენტს აქვს უფლება გაიაროს ელექტრიკოსის მეოთხე საფეხურის პროგრამა.